სამოქალაქო სექტორის გავლენა საჯარო მმართველობაზე

თამთა ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აქვე, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელთაც დახმარება გამიწიეს ნაშრომზე მუშაობისას. ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელთან ერთად, მსურს მადლობა გადავუხადო საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს საპარლამენტო მდივანს ლიკა საჯაიას, ვენაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ინფორმაციის თავისუფლება" აღმასრულებელ დირექტორს მათიას ჰუტერს და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) აღმასრულებელ დირექტორს ზვიად დევდარიანს, ასევე განსაკუთრებული მადლობა ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში მონაწილე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას.

აბსტრაქტი

წიანმდებარე ნაშრომში განხილულია სამოქალაქო სექტორისა და სახელწიფოს თანამშრომლობის პრობლემები, რომელიც გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებს გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით. ნაშრომი ფოკუსირებულია 2013 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ხარისხსა და ეფექტურობაზე.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში საუბარია საქართველოში სამოქალაქო სექტორისა და საჯარო სექტორის თანამშრომლობაზე პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში. განხილულია თანამშრომლობის ფორმები, სექტორებს შორის ინტერესთა განსხავებულობები და გავლენის მექანიზმები.

მეორე ნაწილში განხილულია სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის ხარისხი, პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულების ხარისხი, შედეგები და სექტორებს შორის თანამშრომლობის გამოწვევები. ამ ნაწილში წარმოდგენილია ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემები.

მესამე ნაწილი ეთმობა დასკვნასა და რეკომენდაციებს, სადაც შეჯამებულია სექტორული თანამშრომლობის ხარვეზები, გამომწვევი მიზეზები და შემოთავაზებულია გარკვეული ალტერნატივები სახელწიფოსა და სამოქალაქო სექტორებს შორის კოორდინირებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მაღალი სტანდარტების მისაღწევად.